

ეკონომიკის ზოგი ტერმინის დაზუსტებისათვის*

ტერმინოლოგიაში ერთ-ერთ სირთულედ მიიჩნევა სინონიმის საკითხი, რომელიც ყოველთვის აქტუალური იყო როგორც წინა საუკუნეში, ასევე დღესაც. ამ პრობლემის მიმართ ყოველთვის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობდა. ზოგი მეცნიერი კატეგორიულად უარყოფდა და ახლაც უარყოფს სინონიმის ტერმინოლოგიაში. არსებობდა საპირისპირო თვალსაზრისიც – ტერმინოლოგიური სინონიმია არ ქმნის საშიშროებას, არამედ, პირიქით, იგი მისდევს ენაში არსებულ ჩვეულებრივ პროცესს.

ცნობილია, რომ ენაში აბსოლუტური სინონიმები არ არსებობს. ბუნებრივია, ეს პროცესი ანალოგიურია ტერმინოლოგიაში და უფრო მეტიც, ვფიქრობთ, აუცილებელი და საჭიროც კია ტერმინოლოგიური სინონიმის არსებობა, რადგან ტერმინისათვის ყველაზე არსებითია მისი გამჭვირვალე მნიშვნელობა, შინაარსი, თუ როგორ შეესატყვისება იგი ცნებას. სწორედ სინონიმურ ფორმებს შეუძლია კარგად გამიჯნოს ერთი ცნების ნიუანსური სხვაობები ერთმანეთისაგან.

ტერმინოლოგიაში შეუძლებელია ე. წ. აბსოლუტური სინონიმების აკრძალვა, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთ ფორმებში ტერმინებს უჩნდება სემანტიკური ნიუანსი, რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლება დასცილდეს კიდევ ერთმანეთს და ახალ მნიშვნელობად ჩამოყალიბდეს. ენაშიც ხომ მსგავსი პროცესი მიმდინარეობს და ყველა ტერმინ-სინონიმს აქვს პოტენციური შესაძლებლობა სემანტიკურად მკვეთრად დაშორდეს სინონიმურ წყვილს. ამის დასადასტურებლად არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგალითად, პედაგოგი – მასწავლებელი. „პედაგოგი წიგნური გზით გავრცელებული ინტერნაციონალური სიტყვაა, მასწავლებელი – მისი ქართული შესატყვისი. ენაში ორივე იხმარება, მაგრამ არა როგორც

* აღნიშნული საკითხი არის არსებული ნორმის – „ეკონომიკის ზოგი ტერმინის დაზუსტებისათვის“ – გადამუშავებული ვარიანტი.

აბსოლუტური სინონიმები: მათი მნიშვნელობა მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს და ამ მნიშვნელობით კონტექსტში ისინი თავისუფლად მონაცვლეობენ. თავისუფალი მონაცვლეობა. სხვა შემთხვევაში მათ გამოყენების სხვადასხვა სფერო აქვთ, ერთმანეთს ავსებენ სხვადასხვა მნიშვნელობის მიხედვით (ეს ძირითადად ამ ფუძეთაგან ნაწარმოებ სახელებს ეხება) და მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ სახელებთან ქმნიან ბუნებრივ წყვილებს“ [ქსკს VII: 272-273].

ქართული სიტყვის კულტურის საკითხების VII ტომის მასალებში სინონიმური წყვილების არაერთი მაგალითია წარმოდგენილი. ამდენად, ენაში არსებულ სინონიმებთან დაკავშირებული პროცესი სრულად მიემართება ტერმინოლოგიურ სინონიმისაკ. ჩანს, ამ ფორმების შეზღუდვა შეუძლებელია ტერმინოლოგიურ სისტემაშიც.

ცნობილია, რომ ცნებასთან ზუსტი შესატყვისობის მისაღწევად ტერმინები ხშირად

იქმნება და იქმნება ხელოვნურად დარგის სპეციალისტების მიერ. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როდესაც ერთი დარგის სხვადასხვა სპეციალისტს ერთი და იმავე საგნის ან პროცესის აღსანიშნავად განსხვავებულად უწარმოებია ტერმინი, ასევე, შექმნილა სხვადასხვა ტერმინი ერთი და იმავე ცნების შესატყვისად სხვადასხვა სკოლის წარმომადგენელთა მიერ. ბუნებრივია, სწორედ ეს ფაქტორები იყო მიზეზი ტერმინოლოგიური სინონიმის გაჩენისა.

ამ ტიპის პრობლემა დღესაც იჩენს თავს. ამიტომ საჭიროა ზოგი კონკრეტული საკითხის უკეთ შესწავლა და მეცნიერული კვლევა. ერთ მნიშვნელოვან პრობლემასაც უნდა მიექცეს ყურადღება. ხშირად სამეცნიერო ენაში და, სამწუხაროდ, ტერმინოლოგთა შორისაც, არსებობს დამოკიდებულება, რომ ესა თუ ის ტერმინი მოძველებულია. ჩვენნი აზრით, ტერმინის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება არ არის მართებული. შეუძლებელია ის სიძველის გამო ხმარებიდან ამოვიდოთ, რადგან ტერმინის ფორმა არ იცვლება, არამედ დროთა განმავლობაში შეიძლება ცნებას დაშორდეს. ეს პროცესი შეინიშნება ტერმინოლოგიური სინონიმის დროსაც. ნიუანსური განსხვავების გაჩენა განაპირობებს ხშირად სინონიმისთან დაკავშირებულ პრობლემებსაც. სწორედ ამიტომ ტერმინოლოგმა უნდა შეძლოს სწორი შესატყვისის დაადგინოს ტერმინსა და ცნებას შორის.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში თანამედროვე ეკონომიკის დარგში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ეს ცვლილებები, რა თქმა უნდა, ტერმინოლოგიურ სისტემაშიც აისახა. ტერმინთა სისტემის სრულყოფა და განახლება ყველა დარგისთვისაა დამახასიათებელი. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ არის დარგები, რომლებმაც ნახტომისებური ცვლილება განიცადა. ერთ-ერთი ასეთი დარგია ეკონომიკა. საბჭოთა ეკონომიკა ძირეულად განსხვავდებოდა კაპიტალისტური ეკონომიკისაგან. საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ ის ქვეყნები, რომლებმაც კაპიტალისტური სისტემა აირჩიეს, სრულიად განსხვავებულ ეკონომიკის მოდელს დაეფუძნა. პროცესები, მოვლენები, დარგები და ა. შ. სრულიად შეიცვალა. ეს ცვლილებები სამეცნიერო სფეროსაც დააჩნდა. სოციალისტურ ეპოქაში შექმნილი ტერმინოლოგიური სისტემა, რომელიც ასახავდა იმ რეალობას, უნდა გადაწყობილიყო და ჩამოყალიბებულიყო კაპიტალისტური (საბაზრო) ეკონომიკის ცნებათა ამსახველი სისტემა.

მეოცე საუკუნეში საქართველოში არაერთი სახელოვანი ეკონომისტი მოღვაწეობდა, რომლებმაც მნიშვნელოვანი სამეცნიერო სკოლა შექმნეს. რა თქმა უნდა, მათ გააგრძელეს საქართველოში უძველესი დროიდან არსებული ეკონომიკური დარგების კვლევა. მეოცე საუკუნეში ჩამოყალიბდა ეკონომიკა, როგორც სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი დარგი და, ასევე, „მეცნიერება მეურნეობის, ადამიანების მიერ მისი წარმართვის წესების, პროდუქტის წარმოებისა და გაცვლის პროცესში ადამიანებს შორის ურთიერთობების, სამეურნეო პროცესების მიმდინარეობის კანონზომიერებების შესახებ“ [ეელ].

ახალი დარგის შექნა და მისი მეცნიერული კვლევა ყოველთვის უკავშირდება ტერმინოლოგიურ საქმიანობას. ამიტომ ქართველი ეკონომისტები კარგად ხედავდნენ იმ აუცილებლობას, რომელიც ეკონომიკის ტერმინოლოგიის შექმნასთან იყო დაკავშირებული.

სწორედ ამ მიმართულებით გააქტიურდა სამეცნიერო მოღვაწეობაც. ამ პერიოდიდან ეკონომიკის ტერმინოლოგიაში შეიქმნა მრავალი, საკუთრივ, ქართული ტერმინი, მკვიდრდებოდა კალკირებული ფორმებიც, ასევე, უცხო წარმომავლობის ტერმინები. ბუნებრივია, ამ ტერმინებს, რომლებიც გასულ საუკუნეში შეიქმნა, დღესაც

აქტიურად იყენებენ. მაგრამ არსებობს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სხვადასხვა ტერმინის მიმართ. უნდა შევნიშნოთ, რომ მნიშვნელობა მეოცე საუკუნეში გამოყენებული ტერმინისა,

რომელიც სოციალისტური სისტემის შინაარსს გამოხატავდა, დღეს, ბუნებრივია, ვერ იქნება ამ ეპოქის შესატყვისი. ტერმინი დარჩა, მაგრამ შეიცვალა შინაარსი. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ **კერძო საკუთრება**, რომელიც ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ასეა განმარტებული: „საკუთრების ფორმა, როდესაც წარმოების საშუალებები და შრომის პროდუქტები კერძო პირს ეკუთვნის. კერძო საკუთრება ისტორიული კატეგორიაა. იგი წარმოიშვა პირველყოფილი თემური წყობილების დარღვევის შედეგად. კერძო საკუთრების წარმოშობის მიზეზია საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარება და მის საფუძველზე შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და გაცვლის აღმოცენება. კერძო საკუთრებას მიეყვართ კლასობრივი საზოგადოების შექმნამდე. კერძო საკუთრება მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარების ამოსავალი და დასაყრდენი პუნქტი იყო. ყოველ აღნიშნულ წარმოების წესში კერძო საკუთრებას თავისი განსაკუთრებული ფორმა ჰქონდა. კაპიტალისტური საკუთრება კერძო საკუთრების უმაღლესი და უკანასკნელი ფორმაა. კაპიტალიზმს მიჰყავს საწარმოო ძალთა განვითარება იმ დონემდე, რომელიც წარმოშობს წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამყარების აუცილებლობას“ [ქსე V].

დღეს კი ტერმინი **კერძო საკუთრება** სულ სხვა პროცესს გულისხმობს. ეკონომიკის ენციკლოპედიაში კერძო საკუთრება ასეა განმარტებული: „საკუთრების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა მიწაზე, უძრავ-მოდრავ ქონებაზე, წარმოების საშუალებებზე, ფულსა და ფასიან ქაღალდებზე, სამუშაო ძალაზე, სხვადასხვა სახის საქონელზე...“ (ეკონომიკის ენციკლოპედია)

ამ ტიპის ტერმინი კიდევ ბევრი შეიძლება დავასახელოთ.

ქართულ ენაში უცხო წარმომავლობის ფუძეებიდან ზედსართავი სახელის წარმოება **-ურ** მაწარმოებლით ძალიან აქტიურია. სალიტერატურო ენის ნორმა ამგვარ ფორმათა წარმოების შესახებ დადგენილია: **-ურ მაწარმოებელი დაერთვის უცხო წარმომავლობის სახელებს**. გარკვეულ სირთულეს ქმნის ენაში ისეთი უცხო წარმომავლობის სახელები, რომლებსაც განსხვავებული დაბოლოებები

(სუფიქსები) აქვს. სწორედ სწორედ ამ ტიპისაა **ეკონომია, ეკონომიკა**. ეს ორი ტერმინი ერთმანეთის პარონიმია, რომელთა გამოყენება სათანადო შინაარსით ხშირად დარღვეული იყო და მათი აღრევა დღესაც გრძელდება, ამიტომ საჭიროა დღევანდელი საზოგადოებისთვის შეხსენება, რომ **ეკონომიურის** ამოსავალი **ეკონომიაა**, ხოლო **ეკონომიკისა** კი – **ეკონომიკა**. დღეს მათი მნიშვნელობების გამოიჯენა სადავო აღარ არის: **экономический** – **ეკონომიკისა, ეკონომიკური, экономный** – **ეკონომიური, მომჭირნე**.

აღწარმოება, კვლავწარმოება ეკონომიკური ტერმინებია და გულისხმობს მატერიალური დოვლათის, სამუშაო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების განუწყვეტელ მოძრაობას, მათ უწყვეტ კავშირსა და განახლებას. ორივე ტერმინი მარქსიზმ-ლენინიზმის თხზულებების თარგმნის პროცესში შეიქმნა და რუსული **воспроизводство**-ს კალკია.

ტერმინი **კვლავწარმოება** პაატა გუგუშვილის შექმნილია, რომელმაც ის მოგვიანებით **აღწარმოებით** შეცვალა [გუგუშვილი 45-46]. ეს ტერმინები თავიდანვე სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენებოდა თითქმის თანაბარი სიხშირით. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომისტთა ორი მიმართულება შეიქმნა, ერთი **კვლავწარმოებას** ანიჭებს უპირატესობას, მეორე – **აღწარმოებას**. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ძირითად სალექსიკონო ერთეულად **აღწარმოება** დასტურდება, ხოლო **კვლავწარმოება** მასთან არის მიგზავნილი.

თანამედროვე მასალებისა და ახალი ქართული ენის კორპუსის მიხედვით **კვლავწარმოებამ**, მართალია, წმინდა ეკონომიკური მნიშვნელობა შეინარჩუნა, მაგრამ მისი გამოყენების არეალი გაფართოვდა ისევე, როგორც ტერმინ **აღწარმოებისა**. ისინი ხშირად გამოიყენება **აღდგენის, გამრავლებისა** და **განახლების, გარდაქმნის** მნიშვნელობით.

ვფიქრობთ, ამისთვის ხელი უნდა შეეწყოს ინგლისურ ტერმინ **reproduction**-ის ფართო გამოყენებას, რომელიც პოლისემიურია. მისი მნიშვნელობებია: 1. რეპროდუქცია, ასლის/პირის გადაღება, გამრავლება; 2. ეკონ. კვლავწარმოება; 3. რეპროდუქცია, ასლი (სურათისა, ნახატისა და მისთ.); 4. ბიოლ. გამრავლება, დაზიანებული ორგანოს და ა. შ. აღდგენა.

ბოლო პერიოდში, კავკასიიდან მნიშვნელოვანი მიგრაცია შეიმჩნევა. ეს რუსეთის ხელისუფლებისათვის სერიოზული პრობლე-

მაა, რადგან რუსი ეროვნების ბიოლოგიური **აღწარმოება** შემცირებულია.

ციმბირში და განსაკუთრებით შორეულ აღმოსავლეთში ...მოსახლეობის **აღწარმოება** არ ხდება – შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი – ერთი ქალის მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობა – 2,2-დან 1,1-1,6-მდე შემცირდა, რის გამოც შეუძლებელი ხდება მოსახლეობის მარტივი **აღწარმოება**.

ამ და სხვა მოდელების ერთ-ერთ კომპლექსურ გამოხატულებას ტრადიცია წამოადგენს, რომლის მეშვეობით ხდება წარსულის **კვლავწარმოება**, ინტერპრეტაცია და მენსიერების ფორმირება.

უმეტესწილად ეს თანხები საკრედიტო რესურსებია. ჩვენს შემთხვევაში ეს მით უფრო გამართლებულია, რომ მოსახლეობის უმცირეს ნაწილს შეუძლია **კვლავწარმოება** საკუთარი სახსრებით.

სამოცდაათიანელთა შემოქმედება უფრო დიდ ფასეულობას იტევს, ვიდრე მეამბოხური ლიტერატურის **კვლავწარმოება** ისახავს მიზნად.

ტექნიკურ ტერმინოლოგიაშიც დასტურდება ტერმინი **აღწარმოება** და მისგან ნაწარმოები ტერმინი **ბგერათაღწარმოება** – ელექტრული დენის, მექანიკური რხევებისა და მისთ. ბგერად გარდაქმნა.

რადგან ეს ტერმინები თანაბარი მნიშვნელობით გამოიყენება და ეკონომისტთა ორი მიმართულება კვლავ აგრძელებს თავისი პოზიციის დაცვას, მათი უგულებელყოფა დღევანდელ დღეს არ შეიძლება, თუმცა სასურველია, რომ ისინი შეჯერდნენ ერთ ტერმინზე. ერთი კი უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში, სახელმძღვანელოებსა და სტატიებში ამ ტერმინთა ნაცვლად დამკვიდრდა ინგლისურიდან თარგმნილი **წარმოების პროცესის განახლება, წარმოება და ეკონომიკური ზრდა**.

მწარმოებლური ძალები, საწარმოო ძალები производственные силы – წარმოების საშუალებებისა და იმ ადამიანების ერთობლიობაა, რომლებსაც ისინი მოქმედებაში მოჰყავს. ამ სინონიმურ ტერმინოლოგიურ შესიტყვებებში იმავე ტიპის პრობლემა იჩენს თავს. მათი გამოყენებაც ყოველთვის სადავო იყო ეკონომისტთა შორის, რომელი ტერმინისათვის მიენიჭებინათ უპირატესობა, ვერ გამოიკვეთა. ვფიქრობთ, რომ ამ შესიტყვებებში –**მწარმოებლური ძალა** თუ **საწარმოო ძალა** – მსაზღვრელის გამიჯვნა შინაარსის მიხედვით შესაძლებელია, რადგან **ურ**-მწარმოებლიანი ფორმა თვისების გამო-

მხატველია, ხოლო **სა-ო** თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოები – დანიშნულებისა. ამდენად, ვფიქრობთ, უპირატესობა მიენიჭოს საწარმოო ძალას, რომელიც შინაარსით გულისხმობს წარმოებისთვის განკუთვნილს, წარმოებასთან დაკავშირებულს, ამავე დროს ეკონომიკურ სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო ნაშრომებში საწარმოო მსაზღვრელად უფრო აქტიურია, მაგალითად: **საწარმოო კაპიტალი, საწარმოო მარაგი, საწარმოო პროგრამა** და მისთ.

მწარმოებლური შრომა ზოგადი მნიშვნელობით გულისხმობს ისეთ შრომას, რომელიც ქმნის მატერიალურ პროდუქტს; ქართულში დამკვიდრდა რუსული **производственный труд**-ის შესატყვისად. მწარმოებლური შრომის სინონიმებად ზოგ ლექსიკონში დასტურდება **ნაყოფიერი შრომა, პროდუქტიული შრომა**.

დღეისათვის ეკონომისტები უკვე მკვეთრად გამოიხატავენ მწარმოებლურ შრომას ნაყოფიერი და პროდუქტიული შრომისგან, რადგან მწარმოებლური შრომა გულისხმობს ისეთ პროცესს, რომელიც ქმნის მატერიალურ პროდუქტს, ხოლო **ნაყოფიერი შრომა** და **პროდუქტიული შრომა** კი ნამდვილად სინონიმური წყვილია და გულისხმობს ზოგადად შედეგის მომტან საქმიანობას. ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ტერმინთა ლექსიკონში ისინი ცალ-ცალკე სალექსიკონო ერთეულებადაა წარმოდგენილი და არა სინონიმურ წყვილებად. ამას მოწმობს ის ტერმინოლოგიური შესიტყვებებიც, რომლებთანაც **მწარმოებლური** მსაზღვრელად დასტურდება: **მწარმოებლური** და **არამწარმოებლური ხარჯები, მწარმოებლურობის თეორიები**, რომლებიც წმინდა ეკონომიკური ტერმინებია და ასახავს შრომის პროცესთან დაკავშირებულ ცნებებს.

შესაბამისად უნდა გაიმიჯნოს **შრომის მწარმოებლურობა** და **შრომის ნაყოფიერება**.

Кустарная промышленность ქართულად ითარგმნა, როგორც შინამრეწველობა, კუსტარული მრეწველობა.

ეკონომიკის ეს ტერმინები სოციალისტური სისტემის დროს შეიქმნა და, ბუნებრივია, შინაარსიც იმ ეპოქის რეალობას ასახავდა, ისინი სინონიმები იყო. მართალია, დღესდღეობით ისინი დადასტურებულია, მაგრამ მათი მნიშვნელობის დაზუსტების აუცილებლობა აშკარაა. კერძოდ, საჭიროა ამ ტერმინთა ცნების გადააზრება. დღეს **შინამრეწველობა** და **კუსტარული მრეწველობა** სინონიმები აღარაა, რადგან შინაარსით დასცილდნენ ერთმანეთს. **კუსტარულის**

ამოსავალი **კუსტარია**, რომელიც, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, დღეს გამქრალია. მისი შესატყვია **შინამრეწველი**, რომელიც, ჩვენი რეკომენდაციითაც უნდა დარჩეს. **კუსტარული მრეწველობა** გადააზრინდა და ნიშნავს პრიმიტიულს, არაქარხნულს. მისი თავდაპირველი მნიშვნელობა საოჯახო, **შინამრეწველური** დაკარგულია სხვადასხვა ლექსიკონსა თუ ენის კორპუსში. კუსტარულის გამოყენების არეალი დავიწროვდა და მხოლოდ პრიმიტიულს ნიშნავს.

აქედან გამომდინარე, **кустарный промысел** – **კუსტარული სა-რეწის** ნაცვლად, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება დამკვიდრდეს ტერმინი **შინასარეწი**, მით უმეტეს, რომ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში **кустарный промысел**-ის შესატყვისად სწორედ ეს ტერმინი დასტურდება.

кустарное производство-ს შესატყვის **კუსტარულ წარმოებას** უნდა ჩაენაცვლოს **შინარეწვა**, რომელიც, როგორც წყაროები გვიდასტურებს, საკმაოდ აქტიური ტერმინია:

მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ ეკონომიკური და კულტურული განვითარების უზრუნველსაყოფად აღნიშნული კანონი ითვალისწინებს მეურნეობის ისეთი სახეების ხელშეწყობას, როგორცაა: სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მემინდვრეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, **შინარეწვა**, განახლებადი ენერჯეტიკა...

შინარეწვა აღარ ხდება, რადგან მოსახლეობას მისგან შემოსავალი არ აქვს. სად არის ეხლა თუშური ქუდები, ნაბდები, შიტები, სად იყიდება...

...მაღალმთიანი რეგიონებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული **შინარეწვის** სხვადასხვა დარგების (მეთუნეობა, ჭედურობა, ხეზეკვეთა, მეჭურჭლეობა, ქსოვა, ქარგვა, ნაბდისთელვა, ხალხური საკრავების წარმოება და სხვა) განვითარებას, სახალხო ოსტატებთან შეგირდულ სწავლებას.

რაც, შეეხება ტერმინ **кустарь**-ს და მის შესატყვისებს: **შინამრეწველი**, **კუსტარი**, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, კუსტარი გამქრალია. მის ნაცვლად ჩვენი აზრით, უნდა დარჩეს მხოლოდ **შინამრეწველი**.

შინამრეწველობა, **საშინაო მრეწველობა**, **შინმრეწველობა** სინონიმური ტერმინებია და ამ ფორმებს არსებობის თანაბარი უფლება აქვს, თუმცა **შინამრეწველობას შინმრეწველობასთან** შედარებით

შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს, რადგან **შინა** მატერმინებელი აფიქსიდი და უმჯობესი იქნება, ის დარჩეს.

პაატა გუგუშვილი თავის სტატიაში „შინამრეწველობა კავკასიაში“ **საოჯახო მრეწველობას** მიიჩნევს **შინამრეწველობის** სინონიმად [გუგუშვილი 45-46]. ვფიქრობთ, რომ დღევანდელი გადააზრებით, **შინამრეწველობა** უფრო ზოგადი ტერმინია და მოიცავს როგორც **საოჯახო წარმოებას**, ასევე **საოჯახო მრეწველობას** და გულისხმობს ყოველგვარ გაერთიანებასა და კერძო საქმიანობას ნებისმიერი პროდუქციის შექმნისას, ხელნაკეთი ნივთების ჩათვლით. **საოჯახო მრეწველობას** კი დაუვიწროვდა მნიშვნელობა, ის გულისხმობს საწარმოს, რომელსაც ჰყავს ერთი ან რამდენიმე მესაკუთრე, ეფუძნება ინდივიდუალური ან იურიდიული პირის კერძო საკუთრებას. **შინამრეწველობასა** და **საოჯახო მრეწველობას** შორის გამიჯვნა უფრო მკვეთრად შესამჩნევია, როდესაც სხვადასხვა პროდუქციის წარმოებაზეა საუბარი. მაგალითად, **საოჯახო სამზარეულო**, **საოჯახო სასტუმრო**, რა თქმა უნდა, საოჯახო მრეწველობაა. რაც შეეხება **შინაწარმოებას**, ის **შინამრეწველობის** სინონიმია, თუმცა უფრო ვიწრო მნიშვნელობისაა და ხშირად მხოლოდ პროცესის აღმნიშვნელია, მაგალითად, **ღვინის შინაწარმოება**, **ალკოჰოლური სასმელების შინაწარმოება**. **საშინაო წარმოებისა** და **შინაწარმოების** ნაცვლად უმჯობესია, უპირატესობა მიენიჭოს **შინაწარმოებას**.

ამდენად, ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები უცილობლად აისახება სამეცნიერო ენაშიც. ეს, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს ტერმინთა ნორმებზეც. იცვლება ეკონომიკის დარგში ძირითადი ცნებების აღსანიშნი ზოგიერთი ტერმინის სემანტიკა, სინონიმური ტერმინების მნიშვნელობა, ზოგიერთი მათგანის გამოყენების არეალი იზღუდება, ზოგისა კი იფართოებს გამოყენების სფეროს, ჩნდება ახალი ტერმინებიც. ამგვარი ცვლილებები აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ნორმატიული ტერმინების დადგენისას.

ლიტერატურა

გუგუშვილი 1939 – პაატა გუგუშვილი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის – ნაკვეთი III – სსრკ მეცნიერე-

ბათა აკადემიის საქართველოს ფილიალი. ენის, ისტორიისა და მატერ. კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახ., ტფილისი.

ეელ 2005 – ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ქსე 1980 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, V, თბილისი.

ქსკს 1982 – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VII, თბილისი.

გამოყებული ინტერნეტრესურსი:

<http://gnc.gov.ge>, <http://corpus.leeds.ac.uk/internet.html>

Nino Dateshidze, Natela Muzashvili, Marine Osadze

On the Clarification of Some Economic Terms

Summary

The paper deals with such economic terms that require to be clarified since the economic changes are reflected in the scientific language and the current meaning of the term may not correspond to the concept. Semantics of some terms, meanings of synonymous terms may change; the area of their use may expand or become limited. The terms are as follows *aḡcarmoeba* and *ḡvlavḡcarmoeba*, *mḡcarmoebhuri zalebi* and *saḡcarmoo zalebi*, *šromis mḡcarmoebhuroba* and *šromis naḡopiereba*, *šinamreḡveloba* and *ḡuḡaruli ḡcarmoeba*.

Such changes must be taken into account when defining normative terms.